ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/160623/2

ქ. თბილისი **16 ივნისი, 2023 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ „შემოსავლების სამსახური“,** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ: 204525585 სახელმწიფო ხაზინა, კოდი: №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ, **შპს „ორიენტ ლოჯიკ“** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის, ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა, N71, ს/კ: 202052054, სს „ბაზის ბანკი“, კოდი: CBASGE22, ა/ა: GE96BS0000000005936872

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი **(NAT230011366)** სსიპ - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული სასერვერო ინფრასტრუქტურისა და მონაცემთა შემნახველი მასივის მწარმოებლის საგარანტიო მომსახურებისა და ტექნიკური მხარდაჭერის 1 (ერთი) წლის ვადით განახლების მომსახურების **(CPV-72261000 - პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული მომსახურებები)** შესყიდვის მიზნით და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **145`300.00 (ას ორმოცდახუთი ათას სამასი)** ლარად მიმწოდებლის მიერ გასაწევი ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული მომსახურების კონტროლს (ინსპექტირებას).
2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
2.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
2.2.2. შე საბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება;
2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სსიპ - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული სასერვერო ინფრასტრუქტურისა და მონაცემთა შემნახველი მასივის მწარმოებლის საგარანტიო მომსახურებისა და ტექნიკური მხარდაჭერის 1 (ერთი) წლის ვადით განახლების მომსახურების შესყიდვა, 2023 წლის 20 ივნისიდან 2024 წლის 20 ივნისის ჩათვლით, ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1. მომსახურება უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მოწყობილობებს და უნდა გრძელდებოდეს შესაბამის თარიღებამდე:
BMRD9Z2 - PowerSwitch S5248F-ON, 20/06/2023-დან 20/06/2024-მდე
BN3D9Z2 - PowerSwitch S5248F-ON, 20/06/2023-დან 20/06/2024-მდე
8ZY6W33 - PowerEdge R740xd, 20/06/2023-დან 20/06/2024-მდე
37Z6W33 - PowerEdge R940, 20/06/2023-დან 20/06/2024-მდე
17Z6W33 - PowerEdge R940, 20/06/2023-დან 20/06/2024-მდე
47Z6W33 - PowerEdge R940, 20/06/2023-დან 20/06/2024-მდე
27Z6W33 - PowerEdge R940, 20/06/2023-დან 20/06/2024-მდე
4.2. სასერვერო ინფრასტრუქტურის 24x7-ზე ტექნიკური მხარდაჭერის სერვისისა და აპარატული/ფიზიკური დაზიანებისა და ინფორმაციის მატარებლის (დისკი) დაზიანების შემთხვევაში აღდგენის ვადები:
• სასერვერო ინფრასტრუქტურის 24x7-ზე ტექნიკური მხარდაჭერის სერვისი;
• აპარატული/ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში აღდგენის დრო უნდა იყოს მაქსიმუმ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღე;
• ინფორმაციის მატარებლის (დისკი) დაზიანების შემთხვევაში აღდგენის დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.
5.3. მომსახურების შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში.
5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).
5.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ სრულად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სრულად შესრულებულ მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება;
7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.1.6. შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესრულებული მომსახურება.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორსმაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი

შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ნაკისრი ვალდებულებები იქნება შეუსრულებელი ან არ იქნება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულებული და აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე განმეორდება არაერთგზის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. არაერთგზის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად განიხილება გამოვლენილი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის განმეორება.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების, ვადაგადაცილების ან შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	შპს „ორიენტ ლოჯიკ“
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.06.16 17:28:52 +04'00'	ORIENT LOGIC LLC Digitally signed by ORIENT LOGIC LLC Date: 2023.06.16 16:44:44 +04'00'
მიხეილ ახვლედიანი	**ვაჟა ნასყიდაშვილი**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტი	სპეციფიკაცია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	საგარანტიო მომსახურებისა და ტექნიკური მხარდაჭერის უზუნველყოფის ვადა	მოწოდების ვადა
1	DELL-ის წარმოების სასერვერო ინფრასტრუქტურის მწარმოებლის საგარანტიო მომსახურებისა და ტექნიკური მხარდაჭერის განახლების სახელმწიფო შესყიდვა 1 წლის ვადით	BMRD9Z2 - PowerSwitch S5248F-ON	1	145300	**145300**	20/06/2024	ხელშკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
		BN3D9Z2 - PowerSwitch S5248F-ON					
		8ZY6W33 - PowerEdge R740xd					
		37Z6W33 - PowerEdge R940					
		17Z6W33 - PowerEdge R940					
		47Z6W33 - PowerEdge R940					
		27Z6W33 - PowerEdge R940					
სულ ჯამი დღგ-ს გათვალისიწინებით:					**145300**		

1.7.1 საგარანტიო პირობებს ვეთანხმებით

პრეტენდენტის დასახელება შპს ორიენტ ლოჯიკი

პრეტენდენტის ხელმოწერა ORIENT LOGIC LLC

Digitally signed by ORIENT LOGIC LLC
Date: 2023.06.06 14:29:26 +04'00'

შენიშვნა: ფასების ცხრილის წარმოუდგენლობა ან განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
პრეტენდენტი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფას(ებ)ი დააფიქსიროს (დაამრგვალოს) მეასედის სიზუსტით.

DELL Technologies

Manufacturer's Authorization

Date: 30.05.2023
To: Revenue Service
Partner: Orient Logic LTD (ID 202052054)
Tender Registration Number: NAT230011366

WHEREAS

Dell Ukraine LLC is an entity within the Dell Group, who are established and reputable producer of computers, monitors, projectors, printers, servers, storages, and other electronic devices, having factories at USA (One Dell Way, Round Rock, TX 78682), Poland (Lodz, ul. lnformatyczna 1, 92-410), China (2366 Jinshang Road, Xiamen, 361011), India (Sirumangadu Hi-Tech SEZ SIPCOT Industrial Park, Tamil, Nadu 602106), Malaysia (Plot 76, Mukim 11, Bukit Tengah Industrial Park, 14000 Bukit Merta jam, Penang), and other locations informs Customer regarding following:

Orient Logic is authorized to submit a bid of the above-mentioned tender, and subsequently negotiate and sign the contract, provide 1 Year support extension for products listed below:

- BMRD9Z2 - PowerSwitch S5248F-ON
- BN3D9Z2 - PowerSwitch S5248F-ON
- 8ZY6W33 - PowerEdge R740xd
- 37Z6W33 - PowerEdge R940
- 17Z6W33 - PowerEdge R940
- 47Z6W33 - PowerEdge R940
- 27Z6W33 - PowerEdge R940

Hereby confirms that following partners are appointed as a Dell AUTHORIZED SERVICE PARTNER's and are operating on the territory of Georgia, supporting Commercial Notebooks, Desktops, Servers, Storage and Networking products.

Orient Logic LTD
Address: Godziashvili Str. 71, Tbilisi
Mail: techsupport@ol.ge
Phone: +995 322 54 18 18

Iryna Volk
General Director
Dell Ukraine LLC

Україна * Товариство з обмеженою відповідальністю * м. Київ
«ДЕЛЛ УКРАЇНА»
Ідентифікаційний код 35077983

30 of May 2023

DELL Technologies

მწარმოებლის ავტორიზაცია

თარიღი: 30.05.2023
ვის: შემოსავლების სამსახური
პარტნიორი: შპს „ორიენტ ლოჯიკი“ (202052054)
ტენდერის სარეგისტრაციო ნომერი: NAT230011366

იმის გათვალისწინებით, რომ
შპს Dell Ukraine, Dell Group-ში შემავალი ორგანიზაციაა, რომელიც არის კომპიუტერების, მონიტორების, პროექტორების, პრინტერების, სერვერების, სანახების და სხვა ელექტრონული მოწყობილობების აღიარებული და ავტორიტეტული მწარმოებელი და რომლის საწარმოები მდებარეობს აშშ-ში (One Dell Way, Round Rock, TX 78682), პოლონეთში (Lodz, ul. lnformatyczna 1, 92-410), ჩინეთში (2366 Jinshang Road, Xiamen, 361011), ინდოეთში (Sirumangadu Hi-Tech SEZ SIPCOT Industrial Park, Tamil, Nadu 602106), მალაიზიაში (Plot 76, Mukim 11, Bukit Tengah Industrial Park, 14000 Bukit Merta jam, Penang) და სხვა ადგილებში, კლიენტს ატყობინებს შემდეგს:
„ორიენტ ლოჯიკი“ უფლებამოსილია წარადგინოს ზემოხსენებული ტენდერის შეთავაზება, და შემდგომში აწარმოოს მოლაპარაკება და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, უზრუნველყოს 1-წლიანი მხარდაჭერა შემდეგი პროდუქციისთვის:

- BMRD9Z2 - PowerSwitch S5248F-ON
- BN3D9Z2 - PowerSwitch S5248F-ON
- 8ZY6W33 - PowerEdge R740xd
- 37Z6W33 - PowerEdge R940
- 17Z6W33 - PowerEdge R940
- 47Z6W33 - PowerEdge R940
- 27Z6W33 - PowerEdge R940

ამით ვადასტურებთ, რომ ქვემოთ მოცემული პარტნიორები არიან დანიშნულნი როგორც Dell-ის ავტორიზებული სერვისის პარტნიორები და მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე, ახორციელებენ კომერციული ნოუთბუქების, კომპიუტერების, სერვერების, სანახების და ქსელური პროდუქტების მხარდაჭერას.
შპს „ორიენტ ლოჯიკი“

მისამართი:	თბილისი, გოძიაშვილის ქ. 71
ელ.ფოსტა:	techsupport@ol.ge
ტელეფონი:	+995 322 54 18 18

ირინა ვოლკი
გენერალური დირექტორი
შპს Dell Ukraine

ხელმოწერილია, ბეჭედდასმულია

30 მაისი 2023 წელი

ჯეროვნად ვფლობ ქართულ და ინგლისურ ენებს და პასუხს ვაგებ თარგმანის სისწორეზე.
მთარგმნელი: მაია გრძელიშვილი

TRANSLATE INTERNATIONAL

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230726870
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.06.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თამარ გეფერიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N14, პირველი სართული**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599380428
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06153399757023

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი თამარ გეფერიძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის 14, პირველი სართული, ვამოწმებ მთარგმნელის მაია გრძელიშვილის (დაბ. 21.06.1978, პირადი 01029000846) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელობითი სააგენტო Translate International, მდებარე მისამართზე: საქართველო, თბილისი, ბესიკის ქ. 2, ტელ.: (+99532) 987811; www.translations.ge, E-mail: info@translations.ge.

I, notary Tamar Geperidze, whose notary bureau is situated in № 14, Rustaveli Avenue (1st floor), Tbilisi, certify the authenticity of a signature of a English language translator Maia Grdzelishvili (born on 21/06/1978, Personal № 01029000846); the Agency of Translations "Translate International", situated in № 2, Besiki Street, Tbilisi; phone number (+99532) 987811; www.translations.ge, E-mail: info@translations.ge.

მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი №13/01- 16.). მე გავაფრთხილე მთარგმნელი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

Translator has presented Certificate (№ 13/01-B16). I, the notary, have notified the translator, that she is responsible for the accurate translation. The translator stated that she confirmed her perfect knowledge of the Georgian, English languages and guaranteed the accurate translation.

სანოტარო მოქმედება შესრულებულია 1 (ერთ) ეგზემპლარად

Notarial Action is made in 1 copies.

თარგმანზე შესრულებულია მთარგმნელის 1 (ერთი) ხელმოწერა

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 11,00 ლარი. მათ შორის 6.00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5 ლარი, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

Notarial fee paid: 11,00 GEL, including 6.00 GEL pursuant to the Article 31 of Resolution No. 507 as of December 29, 2011 of the Government of Georgia "approval of the quantity of fee for performance of notarial actions and determined for the Chamber of Notaries of Georgia, method of settlement and terms of service", registration fee in the quantity of 5 GEL, pursuant to the 1st paragraph of the Article 39 of same Resolution.

ნოტარიუსი *თამარ გეფერიძე*

Notary Tamar Geperidze

01024032150